ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4014857

ნომერი: AR1603772

თარიღი : 25.05.2018

გაცემის თარიღი : 14.06.2018

გაცნობის თარიღი : 14.06.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , თბილისის ზღვაზე , დიდ ყურესა და ზღვას შორის არესებული ნახევარკუნძული, (ნაკვ.1/59); ქალაქი თბილისი, ლიპტოვის ქუჩა N 11;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ოთარ ჩხეიძე პ/ნ 01026007265
- თბილისი ვ.დოლიძის ქ. კორ. 26 ბ. 20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

2018 წლის 25 მაისს №AR1603772 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018

წლის 25 მაისს №AR1603772 განცხადებით მომართა ოთარ ჩხეიძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ №01.12.21.001.220 და №01.12.21.001.221 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე გაცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ძალადაკარგულად გამოცხადება.
განმცხადებლის მიერ მოთხოვნის ტექსტში მოთხოვნილია №01.12.21.001.220 და №01.12.21.001.221 საკადასტრო ერთეულებზე გაცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ძალადაკარგულად გამოცხადება, ხოლო სამართლებრივი აქტის რეკვიზიტების ველში მითითებულია მხოლოდ 2017 წლის 18 აგვისტოს №3484569 გადაწყვეტილება. იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება საჭიროა დააზუსტოთ მოთხოვნა და კონკრეტულად მიუთითოთ იმ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ნომრები და გამოცემის თარიღები, რომლის ძალადაკარგულად გამოცხადებასაც ითხოვთ.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2, 95-ე, 96-ე მუხლები და 83–ე მუხლების, ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დაზუსტდეს მოთხოვნის ტექსტი, კერძოდ, საჭიროა კონკრეტულად მიუთითოთ იმ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ნომრები და გამოცემის თარიღები, რომლის ძალადაკარგულად გამოცხადებასაც ითხოვთ.
2. მოთხოვნის დასაზუსტებლად და განახლებული დოკუმენტაციის წარმოსადგენად სამსახური განგისაზღვრავთ 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადას.
3. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში წინამდებარე 2018 წლის 25 მაისის №AR1603772 განცხადება დარჩეს განუხილველი.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.